ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი
გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)

"ადამიანის უფლებები" - მიზანი თუ საშუალება

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საბაზისო ღირებულებები.

ადამიანის უფლებების, თავისუფლებისა და ღირსების დაცვის საკითხები, დღითიდღე სულ უფრო მწვავედ გაისმის თანამედროვე მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ „ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია“ გაზიარებულია გაეროს 200-მდე წევრი სახელმწიფოს მიერ, მისი განხორციელების პროცესი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აწყდება სირთულეებს და ადგილობრივ საზოგადოებებში წარმოშობს მღელვარებებს. შესაბამისად იბადება კითხვა თუ რასთან გვაქვს საქმე - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპულ მიუღებლობასთან, მის არა სწორ გაგებასთან თუ არასწორ ინტერპრეტაციასთან? ...ან, იქნებ არსებობს კიდევ სხვა რამ მიზეზი ან მიზეზები? შემოგთავაზებთ ჩემს ხედვას აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. თქვენს ყურადღებას გავამახვილებ ღირებულებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო „**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას**“ და მის პრეამბულაში იკვეთება; ესენია:

ა) ადამიანის ღირსება;
ბ) კაცისა და ქალის თანასწორი და განუყოფელი უფლებები;
გ) თავისუფლება;
დ) სამართლიანობა;
ე) სიტყვისა და რწმენის თავისუფლება;
ვ) ზნეობა

ეს ღირებულებები ნამდვილად მისაღებია ყოველი მშვიდობისმოყვარე, კეთილი ნების მქონე ადამიანისთვის და მათი აღიარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, ალბათ, სოციალური პროგრესის მიღწევა და „ადამიანებს შორის მეგობრული ურთიერთობებისა და საყოველთაო მშვიდობის დამყარება“, როგორც ეს დეკლარაციით არის გამოცხადებული; ჩამოთვლილ ღირებულიბებათა ფონზე

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ ეს ყოველივე საყოველთაოდ არის მოწონებული და გაზიარებული, მაშინ რეალურ ცხოვრებაში რა ეღობება მის განხორციელებას?!

პირველ რიგში ყურადღებას გავამახვილებ იმაზე, რომ ერთია ღირებულებათა ფორმალური მხარე, მეორე კი - მათი შინაარსი, რომელსაც ეს ღირებულებები იძენენ სხვადასხვა მსოფლმხედველობების პირობებში. მოგეხსენებათ, ერებს გააჩნიათ თავისი იდენტობა, რაც თავისთავში მოიცავს ეთნიკურ წარმოშობასა და ამა თუ იმ ეთნოსისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, ადგილობრივ კულტურას, რელიგიას, ტრადიციებს, და ა.შ. იმის გამო, რომ არსებობს დიდი ალბათობა - არაერთგვაროვნად იქნას გაგებული დეკლარაციის ბაზისური ღირებულებები, აქ არის ასეთი ფრაზა: **„... უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის.“**

დღეს მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს ზემოხსენებულ **უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგების** დამკვიდრების, ანუ დანერგვის პროცესი და მე ვფიქრობ, სწორედ ეს აწყდება წინააღმდეგობებს და არა ადამიანის უფლებები, როგორც ასეთი, რადგან ეს პროცესი, ფაქტობრივად, მიზნად ისახავს ყველა ხალხების ფასეულობათა გათანაბრებას და ამდენად, არც არის გასაკვირი, რომ ჩვენს საზოგადოებაშიც , სწორედ ამის გამო(და არა მხოლოდ) თავს იჩენს ხოლმე გარკვეული შიშები და (ზოგჯერ) არც თუ უსაფუძვლოდ. ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის ეპოქაში. ამ პროცესს თავის დადებით მხარეებთან ერთად ახლავს საფრთხეებიც. მათთან გამკლავება ერის სასიცოცხლო ამოცანას წარმოადგენს (განსაკუთრებით მცირერიცხოვან ერებს ეხება ეს).

ზემოთ მე ვახსენე **იდენტობა**. ეს სიტყვა მოდის ლათინური ფრაზიდან **„Idem et Idem“**, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „იგივე და იგივეს“ ანუ „ერთსა და იგივეს“. იდენტობა არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ მთლიანობასა და ინდივიდუალურობაზე, რომლის მეშვეობით პიროვნება საკუთარ თავს აიგივებს გარკვეულ ტიპოლოგიურ კატეგორიასთან. სოციალურ მეცნიერებებში გამოყოფენ სხვადასხვა სახის იდენტობებს და მათ შორის არსებობს გარკვეული იერარქიული თანმიმდევრობა; ესენია: **1. ადამიანი (კაცი, ქალი); 2. ეთნოსი; 3. რელიგია; 4. სახელმწიფო; 5; კულტურა; 6. სოციალური სტატუსი; 7. ასაკი; 8. პროფესია და ა. შ.**

უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგების დამკვიდრების პროცესში, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ, ადგილი აქვს იდენტობის ფუნდამენტურ კატეგორიებზე უხეში ზემოქმედების მცდელობას, რაზეც ეთნოსი მტკივნეულად

რეაგირებს; გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც წესი, სოციალურ-კულტურული გარემოს მკვეთრად შეცვლის მცდელობებისას ეთნოსს უჩნდება თავისი იდენტობის (ან იდენტობების) შელახვის (ან დაკარგვის) საფრთხის განცდა. და რადგან სოციალური სტრუქტურისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და გადაცემის პროცესში სწორედ იდენტობის მექანიზმი ასრულებს გადამწყვეტ როლს, როგორც კი მას საფრთხე ემუქრება(ან ჩნდება განცდა, რომ საფრთხე ემუქრება), ეთნოსი ამაზე რეაგირებს უკვე ირაციონალურ დონეზე ანუ ამოქმედდება თვითგადარჩენის ინსტინქტი, რაც ერთგვარი კანონზომიერებაა; ...თუმცა აუცილებლად აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ პროტესტის რა ფორმას მიმართავს საზოგადოება(პიროვნება); პროტესტის ფორმის არასწორად შერჩევამ, ან პროცესის თვითდინებაზე მიშვებამ, შესაძლოა თვით ამ პროტესტის შინაარსი შეიწიროს. ამიტომ აქ უკიდურესი სიფრთხილე და გონიერებაა საჭირო; მოგეხსენებათ, ინსტინქტების ზეობისას ადგილი აქვს ემოციურ აფეთქებას და თავდაცვა, დიდი ალბათობით, თავდასხმაში შეიძლება გადაიზარდოს. ...თუმცა ეს უკვე ფსიქოანალიზის სფეროა.

2. ეთნოსი და ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებებს ბევრად უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე ეს ზოგიერთს შეიძლება ეგონოს. სიტყვამ მოიტანა და მოკლედ შევეხები ეთნოსისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართების საკითხს. ადამიანის უფლებები უპირატესად კულტურის სფეროს განეკუთვნება. ეთნოსური კულტურის ჩამოყალიბება კი შეუძლებელია, თუ მასში არ არის დაცული ადამიანის უფლებები; ანუ ეთნოსის არსებობის ერთგვარ წინაპირობად უნდა განვიხილოთ ადამიანის უფლებები. რაც შეეხება თვით ეთნოსს, იგი, მოგეხსენებათ, არის ადამიანთა ერთობა, რომელიც კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცესა და ისტორიულ პროცესებში ყალიბდება. ეთნოსში არსებობს ე.წ. საზიარო ნორმები, რომლებიც ერთნაირად ვრცელდება ამ ერთობის ყველა წევრზე და მათ აყალიბებს ერთ მთლიან სისტემად. ჩამოყალიბების პროცესში ეთნოსის ერთ-ერთი სასიცოცხლო პირობად უნდა განვიხილოთ მეზობელ ხალხთა კულტურებთან ურთიერთობა, რასაც თან სდევს სხვადასხვა სახის უმცირესობების წარმოქმნა; ეს ხდება ბუნებრივად პროცესი იმგვარად რეგულირდება რომ შენარჩუნებულ იქნას ადგილობრივი კულტურის ის ნაწილი, რომელიც არსებითია და რომელშიც ვლინდება ამა თუ იმ ეთნოსის იდენტობა; იმ

შემთხვევაში თუ ეთნოსის კულტურაში ადგილი არ მოიძებნა შემწყნარებლობისთვის, მაშინ ამ ეთნოსში ნელ-ნელა განვითარებას იწყებს ეთნოცენტრიზმი (ამ სიტყვის უკიდურესად ნეგატიური მნიშვნელობით), რაც თავისთავად ძალიან სახიფათოა თვით ამ ეთნოსისთვის, ისევე, როგორც ეგოცენტრიზმი – პიროვნებისთვის. მსგავს შემთხვევებში დიდია ცდომილება არსებულ რეალობასა და მასზე არსებულ წარმოდგენებს შორის, რაც მიუთითებს განვითარების კანონზომიერებიდან ამოვარდნის შესახებ. კანონზომიერება კი ისეთი რამ არის, რაც დიდი ტკივილებითა და განსაცდელებით, მაგრამ მაინც, დააბრუნებს ადამიანს (საზოგადოებას, ეთნოსს) რეალობაში; საპირისპირო შემთხვევაში გარდაუვალია რღვევის დაწყება;

3. ქრისტიანობა და ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებებზე როცა ვსაუბრობთ, არაფრით არ შეიძლება ქრისტიანულ ღირებულებათა უგულებელყოფა; არამედ სასურველია, და საჭიროც კი, მათი ღრმად გააზრება. ქრისტიანულ მფსოფლმხედველობაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ადამიანს, როგორც ღვთაებრივი შემოქმედების გვირგვინს; ადამიანი არის **ღვთის ხატი**; მას გააჩნია **უკვდავი სული** და მინიჭებული აქვს **თავისუფალი ნება**. იგი მოწოდებულია ზეციური მოქალაქობისთვის, რაც მას ავალებს - მუდმივად წარემატებოდეს თავისი შემოქმედისადმი მსგავსებაში; ეს მისგან ითხოვს ღვთის მიერ ბოძებული ნიჭების, კეთილი თვისებებისა და სათნოებების კულტივაციას, რისი შედეგიც უნდა იყოს **ადამიანის განღმრთობა.**

ქრისტიანული სწავლება წუთისოფელს განიხილავს როგორც ცოდვით დაცემულ სამყაროს, ხოლო ადამიანს - როგორც გონიერ არსებას, რომელმაც ღმერთთან ერთობის მისწრაფებით (რაც მის თავისუფალ არჩევანს უნდა წარმოადგენდეს) უნდა მოიპოვოს (დაიბრუნოს) უფლება საკუთარ თავზე; ამისთვის მან თავის თავში უნდა სძლიოს ცოდვას და ეს უნდა მოხდეს არა გარედან იძულებით, არამედ, ვიმეორებ, თავისუფალი ნებით, საკუთარი თავის შინაგანი იძულების გზით, რაც წარმოადგენს პიროვნული თავისუფლების უმაღლეს გამოვლენას.

ქრისტიანეთათვის უაღრესად მნიშვნელოვანია წინასწარმეტყველება სამყაროს აღსასრულის შესახებ, რაც გარდაუვლად მოსდევს ადამიანის ღმერთისგან განდგომას; ამ მოვლენის კონკრეტული დრო და ჟამი არავინ უწყის, მაგრამ ვუწყით, რომ ეს მოხდება მაშინ, როდესაც ცოდვასა და მადლს შორის არსებული კრიტიკული

ზღვარი დაირღვევა. ასე, რომ სამყაროს ბედი, გარკვეული თვალსაზრისით, თვით ადამიანზეა დამოკიდებული და აქ, შესაბამისად, დგება მისი ზნეობრივი პასუხისმგებლობის საკითხი პირველ რიგში საკუთარი სინდისის წინაშე - „ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს არს...“ (I კორ. 6,12) - ბრძანებს პავლე მოციქული, რაც თანამედროვე რედაქციით ასე გამოითქმის: „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია. ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე არაფერს დავემონები“. მოციქულის ეს სიტყვები ერთგვარი გასაღებია არჩევანის თავისუფალების არსში გასარკვევად.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანის ცხოვრების მთავარი მიზანი არის ზეციური სასუფევლის დამკვიდრება, უფალი გვავალებს: „მიეცით კეისრისაი კეისარსა და ღმრთისაი ღმერთსა“ (მთ. 22,21) . ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქრისტიანი არ ებრძვის რაღაცას, არამედ იბრძვის რაღაცისთვის; ამ ორ ხედვას შორის არის პრინციპული განსხვავება. ...და კიდევ, ქრისტიანის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპია „...შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, ესე არს დიდი და პირველი მცნებაი და მეორე მსგავსი ამისი: შეიყვარო მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი დამოკიდებულ არიან“ (მთ. 22,37-40).

ქრისტეს ეკლესიის მთავარი მისია მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს უქადაგოს სიტყვა ზეციური სასუფევლის შესახებ და დამოძღვროს ისინი; ასწავლოს, რომ აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალი გზა სინანულზე გადის. შესაბამისად, ეკლესია ვალდებულია სწორი მიმართულება მისცეს ადამიანებს. ჩვენ უნდა შევძლოთ ერთმანეთისგან განასხვაოთ სიკეთე და ბოროტება, სინათლე და სიბნელე, სიყვარული და სიძულვილი, ერთი სიტყვით, მადლი და ცოდვა. „...სანამ ადამიანი დამონებულია ცოდვისა და სიკვდილის მიერ, სანამ ადამიანი ურიგდება ცოდვასა და სიკვდილს და ვერც კი განიცდის მათ, როგორც საშინელ და წარუვალ მონობას, ილუზორული და უშინაარსოა ყოველგვარი ადამიანური მსჯელობა თავისუფლების შესახებ; ... ქრისტიანობისათვის თავისუფლება ნიშნავს არა დროებით გათავისუფლებას ამა თუ იმ დამოკიდებულებისაგან, არამედ, უწინარესად, – ადამიანის ცნობიერების ძირეულ და შინაგან შეცვლას, და ამიტომ, ადამიანის მთელი ცხოვრების შეცვლასაც. ქრისტიანობისათვის ის გარეგანი თავისუფლება, უფრო სწორად, ის, რასაც ჩვენ თავისუფლებას ვეძახით და რაც ყოველთვის დროებითი და წარმავალია, უაზრობაა და არა აქვს არავითარი აზრი ადამიანის

შინაგანი გათავისუფლების გარეშე, თავისუფლებაში მყოფობის თანდაყოლილი თვისების დაბრუნების გარეშე. რადგან სწორედ თავისუფლების ამ უნარმა, ნამდვილი თავისუფლების წყურვილმა – ცოდვისა და სიკვდილისაგან თავისუფლებამ დაამსხვრია ადამიანში ის მონობა, რომელზედაც ეს ესაა ვსაუბრობდით." *(პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი, „თავისუფლების ქრისტიანული გაგება". იხ. კრებული: ცოცხალი რწმენის შესახებ, თბ. 2011, გვ. 130).*

ადამიანის ქმედებების შეფასების საკითხში ეკლესიისა და სახელმწიფოს შეხედულებები განსხვავებულია და გარკვეულ შემთხვევებში - ურთიერთსაპირისპიროც კი. მთელი რიგ ქმედებებს, რომლებიც ეკლესიის მიერ ცოდვად განიხილება, სახელმწიფო ასეთად არ განიხილავს და უფრო მეტიც - მას თანამედროვეობის ნორმალურ მოვლენადაც კი აღიარებს; ამ ნიადაგზე საზოგადოებაში ადგილი აქვს ხოლმე დაძაბულობებს და დაპირისპირებასაც კი და ეს ხდება მით უფრო მაშინ - როცა ე.წ. პოლიტკორექტულობის გამო აკრძალვებსაც კი აწესებენ იმის თაობაზე, რომ არ გაბედოს ადამიანმა და ცოდვას არ დაარქვა ცოდვა. ამ მხრივ არსებული ტენდენციები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ეს მომავალში სისხლის სამართლის ნორმადაც კი იქცეს, რაც ქრისტიანთა თვალთახედვით ნეგატიური მოვლენაა და შესაძლოა ქრისტიანული ფასეულობების დევნადაც კი შეფასდეს. საზოგადოება, რომელიც თავისი ამსოფლიური ცხოვრებით არის დაკავებული, უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ თავის ადამიანურ სურვილებს, არამედ - უზენაესი შემოქმედის მიერ ბოძებულ ზნეობრივ კანონსაც, რომელიც არსებობს და ძალაშია მაშინაც კი, თუ ადამიანები მას არ ეთანხმებიან ან, თუნდაც ეწინააღმდეგებიან კიდეც. მართლმადიდებლურ მსოფლხედვაში იგი ყოველგვარ დადგენილებაზე მაღლა დგას. უფალი მის მიხედვით განსჯის მთელ ხალხებს (გამოცხ.20,12) და მას სინდისი ჰქვია.

რა ხდება დღეს ქართულ სინამდვილეში; საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები სულ უფრო ხშირად სდებენ ბრალს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ადამიანის უფლებების მიმართ უპატივისმცემულობასა და ე.წ. „ჰომოფობიაში" თუმცა ნაკლებად ცდილობენ პრობლემის არსში ჩაღრმავებას. იგივე ითქმის მედია საშუალებების შესახებ. ადამიანის უფლებები უაღრესად მნიშვნელოვანი და იმავდროულად ძალიან ფაქიზი სფეროა და მათ, ვინც აქ მოღვაწეობს, დიდი სიფრთხილე მართებთ. ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ ამ ტიპის პრობლემაზე საუბარი გვიხდება იმ კულტურის

სივრცეში, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად თანაარსებობდა ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამი და მიწის მცირე მონაკვეთზე, თითქმის გვერდი-გვერდ აღმართულია ურთიერთისგან განსხვავებულ რელიგიათა სალოცავები; ასეთ რამეზე საუბარია იმ საზოგადოებაში, რომელიც აბრაამისეული სტუმართმოყვარეობით არის გაჟღენთილი და სადაც ყველაფერ საუკეთესოს სინონიმად არსებობს სიტყვა – "საუცხოო". ამ პრობლემაზე რომ ვფიქრობ, ერთის მხრივ – აშკარად ვხედავ ანტირელიგიური იდეოლოგიის მზაკვრულ ნაბიჯებს, თუ როგორ ცდილობს იგი ამოეფაროს „ადამიანის უფლებებს“, ხოლო მეორეს მხრივ - ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ ქრისტიანული ფორმით სამართლიანი პროტესტის გამოხატვაც კი გვიჭირს ჩვენი ემოციური ბუნებისა თუ სხვა მიზეზთა გამო და ნებსით თუ უნებლიეთ, მტრის წისქვილზე ვასხამთ წყალს; პრობლემის არსი კი, ჩემის ღრმა რწმენით, ფასეულობათა კონფლიქტში მდგომარეობს.

4. ღირებულებათა კონფლიქტი : ქრისტიანობა და ლიბერალიზმი

ქრისტიანულ და ლიბერალურ მსოფლმხედველობრივ ღირებულებათა სისტემებში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს, ერთი შეხედვით, ერთი და იგივე ღირებულება - პიროვნება და მისი უფლებები და თავისუფლებები. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს მსგავსება ფორმალურია და შინაარსობრივად პრინციპულ განსხვავებებსა და წინააღმდეგობებს აქვს ადგილი; ქრისტიანობაში აღნიშნულ ღირებულებებს აბსოლუტურად ღვთიური წყარო აქვთ და მაშასადამე, გააჩნიათ აბსოლუტური ზნეობრივი განზომილება, ხოლო ლიბერალურ პარადიგმაში მათ გააჩნიათ მხოლოდ ადამიანური, მიმართებითი და კონვენციონალური სათავე; შესაბამისად, ისინი მოკლებულნი არიან აბსოლუტურ ზნეობრივ განზომილებას.
საქმე ის გახლავთ, რომ ეს ღირებულებები სეკულარულ მსოფლმხედველობაში ნასესხებია ქრისტიანობისგან და მოხდა მათი სეკულარული გააზრება. ასეთსავე ხელოვნურ, კონვენციონალურ ეთიკაზეა დაფუძნებული ახალი სეკულარული ფილოსოფიის მიერ შემუშავებული „ბუნებრივი ადამიანის“ , მისი „ბუნებრივი მდგომარეობის“ და მისი „ბუნებრივი უფლებების“ კონცეფციები; მათი გააზრება ხდება ღვთიური და ზნეობრივი განზომილების გარეთ. ამასთან დაკავშირებით საინტერესო განმარტებას ვხვდებით პროტოპრესვიტერ ალექსანდრე შმემანთან: „ ...სეკულარიზმი, - წერს იგი - არის მსოფლმხედველობა და მისი შესაბამისი ცხოვრების წესი, რომლის დროსაც ადამიანური არსებობის ძირითადი მხარეები,

ისეთი როგორიცაა ოჯახი, სამუშაო, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება და ა. შ. არათუ არ არის დაკავშირებული რწმენასთან და არ არის დაფუძნებული რწმენაზე, არამედ მასში უარყოფილია ამგვარი კავშირის აუცილებლობა და თვით შესაძლებლობაც კი. ამასთან ერთად, ცხოვრების საერო სფერო მოიაზრება როგორც ავტონომიური - ე. ი. წარმართული საკუთარი ღირებულებებითა და პრინციპებით, რომლებიც განსხვავდება რელიგიური ღირებულებებისა და პრინციპებისაგან.'' *(იხ. კრებული: პროტოპრესვ. ალექსანდრე შმემანი „ცოცხალი რწმენის შესახებ", თბ. 2011, გვ. 329).* აქვე უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობასა და ლიბერალიზმს შორის არსებულ მსოფლმხედველობრივი კონფლიქტის შესახებ არაერთხელ გამოუთქვამს მკაცრი პოზიცია თვით კათოლიკურ ეკლესიას, რომელსაც უკვე რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში ლიბერალური ცივილიზაციის პირობებში უწევს არსებობა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიტანოთ XX საუკუნის დასაწყისის რომის პაპ ლეო XIX გამონათქვამი : „ლიბერალიზმის მომხრეები აცხადებენ, რომ ყოველი ადამიანი თავის თავს უდგენს კანონს; აქედან იბადება ეთიკის სისტემა, რომელსაც ლიბერალები დამოუკიდებელ მორალს უწოდებენ და რომელიც, ამოფარებულია რა თავისუფლების ნიღაბს, ათავისუფლებს ადამიანს ღვთის კანონებისადმი მორჩილებისაგან"*(ენციკლიკა „სამოქალაქო თავისუფლებათა თაობაზე"-„Libertas").*

5. მსოფლმხედველობრივი კონფლიქტი - გალაშქრება რელიგიის წინააღმდეგ

მსოფლმხედველობრივი კონფლიქტი ქრისტიანულ და ლიბერალურ სისტემებს შორის უშუალო გაგრძელებას ჰპოვებს თანამედროვე საზოგადოებრივ - სამართლებრივ კონფლიქტში, რომელიც თავს იჩენს ლიბერალური საზოგადოებრივ-სამართლებრივი სისტემის მიერ რელიგიური უფლებების დარღვევაში. ჩვენს დროში ლიბერალური მსოფლმხედველობითი სისტემა მოგვეწოდება და განიხილება როგორც ერთგვარი იდეალური სისტება, რომლის ძირითადი პრინციპები ყველა მის მიერ ნაგულისხმევი უფლებისა და თავისუფლების დაცვის საშულებას იძლევა. ამის საფუძველს წარმოადგენს მისი ხაზგასმული ვითომ „ნეიტრალობა" და ამიტომ, მისგან გამომდინარე ლიბერალური მსოფლმხედველობის ვითომ „ობიექტურობა", რომელიც ნეიტრალურად ეპყრობა ყველა მოვლენას და ობიექტურად ანიჭებს მათ თანაბარ უფლებებს. ეს ღირებულებები წარმოჩენილი აქვს, როგორც უნივერსალური და ჭეშმარიტი და აღკვეთს იმ იდეოლოგიურ სისტემებსა და ღირებულებებს,

რომელებიც მათ ეწინააღმდეგება. აღსანიშნავია, რომ ასეთია ღირებულებათა ნებისმიერი ტოტალიტარული სისტემის მინიმალური მახასიათებლები. ქრისტიანობა და ქრისტიანული ღირებულებები განეკუთვნება ისეთ ღირებულებათა რიგს, რომლებიც, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება ლიბერალურ სისტემას, ხშირად კონფლიქტშია მასთან და ამიტომ აღკვეთას ექვემდებარება.

ლიბერალური საზოგადოებრივი და სამართლებრივი სიტემა, დაფუძნებული ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების სეკულარულ გაგებაზე, სისტემატურად არღვევს სხვადასხვა რელიგიურ უფლებებსა და თავისუფლებებს:

1) პირველ რიგში, საუბარი ეხება ლიბერალიზმის სეკულარული ფილოსოფიის სავსებით ბუნებრივ, მაგრამ სულ უფრო კრიტიკულ და აგრესიულ რეაქციას რელიგიური მსოფლმხედველობის მიმართ, რომელსაც იგი განიხილავს, როგორც არქაულს, მეტად მოძველებულსა და თანამედროვეობისადმი არაადექვატურს, რომელიც, თითქოსდა ხელს უშლის სამეცნიერო-ტექნიკურ და სოციალურ პროგრესს. ამ სეკულარულ პოზიციას ბუნებრივად მოყვება რელიგიური მსოფლმხედველობის მიმდევართა უფლებების დარღვევა.

მაგალითისთვის მოგახსენებთ: - *„2004 წელს იტალიის მთავრობის წევრი როკო ბუტილიონე ევროპარლამენტმა არ დაამტკიცა ევროკომისიის წევრის თანამდებობაზე ქორწინებასა და სექსუალურ უმცირესობებზე მისი შეხედულებების გამო. ბუტილიონემ ევროპარლამენტში განაცხადა, რომ ჰომოსექსუალიზმს მიიჩნევს ცოდვად, და რომ ქორწინების დანიშნულება შვილიერება და მამაკაცის მიერ ქალის დაცვაა. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა: "კარგი ძვირი ღირს, მაგრამ ღირს. თუ თქვენ გსურთ იყოთ კათოლიკე პოლიტიკაში, ზოგჯერ საჭიროა წახვიდე მსხვერპლზე და სინდისი შენს თანამდებობაზე მაღლა დააყენო. ნუთუ თქვენ ენდობით ადამიანს, რომელმაც თავის სინდისზე მაღლა თავისი პოლიტიკური კარიერა დააყენა?*

ეს არ არის ერთეული შემთხვევა, როცა მაგალითად, დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში მორწმუნე ადამიანების დიდი პროცენტი სისტემატურად ექვემდებარება დისკრიმინაციას რელიგიურ ნიადაგზე და ამასთან აღიარებენ, რომ ლიბერალურ საზოგადოებაში მათი შეხედულებების გამო უფერხდებათ პროფესიული რეალიზაცია და კარიერული ზრდა. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ლიბერალური სისტემის მიერ რწმენის თავისუფლების უფლების შეზღუდვაზე.

2) ლიბერალური სისტემა, რომელიც ქრისტიანულ მორალზე ლიბერალური სამართლის პრიმატს აწესებს, უშვებს სრულიად სხვადასხვა სამართლებრივი ნორმების დაწესებას, მათ შორის ისეთების, რომლებიც უშუალოდ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს. ლიბერალური სისტემა სამართლებრივად ათანაბრებს ამორალურ და ანტირელიგიურ მოვლენებს ზნეობრივთან და რელიგიურთან, ანუ ბოროტებას სიკეთესთან და ამართლებს ამას ზნეობრივი ნეიტრალობის ლიბერალური პრინციპით. შედეგად, ლიბერალურ საზოგადოებაში არსებობისა და გამართლების უფლებას ჰპოვებს ისეთი ანტიქრისტიანული მოვლენები, როგორიცაა სატანიზმი, ჰომოსექსუალიზმი და სხვა.

3) ლიბერალური სისტემა რელიგიური უმრავლესობის უფლებებს სისტემატურად არღვევს, რითიც ილახება დემოკრატიის პრინციპები. როგორც ცნობილია, ლიბერალური სისტემისათვის დამახასიათებელია რელიგიური უმცირესობისა და უმრავლესობის უფლებების გათანაბრება, ხშირად კი, უმცირესობების უფლებათა დაცვა ხორციელდება უმრავლესობის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე. ცნობილი ფორმულის თანახმად, დემოკრატია იცავს უმრავლესობის უფლებებს, ლიბერალიზმი კი უმცირესობის უფლებებს.

4) და ბოლოს,... ლიბერალური სისტემიდან ბუნებრივად მომდინარეობს ტრადიციული ფასეულობების უფლებათა შეზღუდვა. <u>ლიბერალური სისტემისთვის დამახასიათებელია ყველა ზნეობრივი და რელიგიური ღირებულებების უფლებების თანასწორობის დამტკიცება, ამიტომ ხდება გარკვეული საზოგადოებებისთვის ტრადიციული ფასეულობების უფლებათა შეზღუდვა, ამასთან ერთად კი ირღვევა ორგანულად ჩამოყალიბებული ტრადიციული რელიგიური და კულტურული საზოგადოებრივი ბალანსი, რაც მრავალი თანამედროვე კრიზისის მიზეზი ხდება.</u> ასეთ სიტუაციაში, აუცილებელია ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციებისათვის სხვადასხვა სტატუსის მინიჭება (საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი).

დისკუსიები ადამიანების უფლებების შესახებ პრაქტიკულად უწყვეტად მიმდინარეობს ფართო საზოგადოებაში და სერიოზული საფუძვლები არსებობს იმისთვის, რომ მომავალშიც გაგრძელდეს, რაც მიზნად ისახავს სათანადო პრაქტიკული დასკვნების გამოტანას, რამაც საფუძველი უნდა შეუქმნას ადამიანთა საზოგადოების მშვიდობიან თანაარსებობას.

6. ადამიანის უფლებები – მიზანი თუ საშუალება?!

„ადამიანის უფლებები“ რომ საშუალებაა და არა მიზანი, ეს ჩვენ კარგად გვესმის; ეს თვით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშიც ნათლად არის გამოკვეთილი და მაინც დავსვით ასეთი კითხვა და თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ; მანამდე კი წაგიკითხავთ ამონარიდს: პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანის სიტყვიდან, რომელიც წარმოთქვა მან დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ რადიო „თავისუფლებაში“ :

„ამჟამად მთელ მსოფლიოში, მის სრულიად სხვადასხვა ნაწილში, ბევრს საუბრობენ გათავისუფლებაზე. ეს, ალბათ, ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი, ყველაზე პოპულარული ცნებაა. გათავისუფლება საძულველი ტოტალიტარული რეჟიმისაგან, პარტიული მეთვალყურეობისაგან, პარტიული იდეოლოგიისა და იდეოლოგიური დოგმატიზმისაგან, გათავისუფლება კოლონიური იმპერიალიზმისაგან, კონფორმიზმისაგან, მორალიზმისაგან, სქე-სობრივი ტაბუსაგან და ა. შ. და ა. შ. როგორღაც უეცრად ადამიანმა თავი იგრძნო დამონებულად, თოჯინად რაღაც იმ ძალების ხელში, რომელსაც ვერ აკონტროლებს, რომელზეც არ აქვს ძალაუფლება; ...და იგრძნო რა ეს, მას გაუჩნდა გათავისუფლების მძაფრი სურვილი. ამ მისწრაფებისათვის <u>მთავარი საფრთხე, ჩემი თვალსაზრისით, არის ის, რომ ადამიანთა უდიდესი ნაწილი თვით სიტყვა “გათავისუფლებას“ აღიქვამს თითქმის მხოლოდ უარყოფითი აზრით – როგორც თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე ამა თუ იმ სახის დაბრკოლების ლიკვიდაციას, როგორც ბრძოლას რაღაცასთან და არა რაღაცისათვის.</u> მოსპეთ კოლონიალიზმი და ყველაფერი აყვავდება, გაანადგურეთ მობეზრებული პარტიული დიქტატი და დაისადგურებს თავისუფლება, უარყავით სქესობრივი ცხოვრების შესახებ ფარისევლური აკრძალვები და გაბრწყინდება წმინდა, თავისუფალი სიყვარული! სამწუხაროდ, ადამიანთა ამ უმრავლესობამ არ იცის, რომ თავისი უარყოფითი მნიშვნელობით გათავისუფლების ცნება ვერ ამოიწურება; სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ არის საკმარისი რაღაცის ლიკვიდირება, რათა დამკვიდრდეს თავისუფლება. მარქსი თვლიდა, რომ საკმარისია კერძო საკუთრების მოსპობა და წარმოების საშუალებებზე საერთო საკუთრების დადგენა და თითქმის ავტომატურად მოხდება “ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს ასე არაა, რომ ეს მოჩვენებითი თავისუფლება რეალურად ადამიანის

გაუგონარ დაკაბალებად და დამონებად იქცა“. *(პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი, თავისუფლების ქრისტიანული გაგება. იხ. კრებული: ცოცხალი რწმენის შესახებ, თბ. 2011, გვ. 121-122).*
ამ სიტყვების შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავთ. ანტიქრისტიანული იდეოლოგია ცდილობს დაარწმუნოს ადამიანები, რომ თავისუფლება მიზანია და არა საშუალება, რისთვისაც მზაკვრულად იყენებს „ადამიანის უფლებების“ დაცვის იდეას.

ქრისტიანული ეკლესიისთვის დევნა-შევიწროვება უცხო მოვლენა არასდროს ყოფილა; უფრო მეტიც - ქრისტეს ეკლესია განსაკუთრებით ძლიერი მაშინ იყო, როცა იდევნებოდა; ასეთი იყო და არის დღესაც წუთისოფლის დამოკიდებულება ქრისტესა და მისი ეკლესიის მიმართ და ეს არ უნდა გვიკვირდეს. ასეთ პირობებშიც კი ეკლესიას აქვს ვალდებულება მოუწოდოს მრევლს ქრისტიანული სწავლების, ქრისტიანული ღირებულებების დაცვისკენ. *ეს იქნება ასე, სანამ დედამიწაზე გაისმის უფლის სიტყვები: "რაი სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს?“(მთ.16,26) ეს ასე იქნება, სანამ „ადამიანებს ახსოვთ სახარებისეული პარადოქსული არითმეტიკა, რომლის თანახმად ერთი ყოველთვის მნიშვნელოვანია და ოთხმოცდაცხრამეტზე უფრო ფასეული და სანამ ეს ასეა, შეუძლებელი იქნება დამიანის პიროვნების განადგურება; შეუძლებელი იქნება უკვე კოლექტივიზებული იმ კაცობიობის შექმნა, რომელიც თავის მონობას უწოდებს „თავისუფლებას“, უსახო სარგებელზე თავის დაქვემდებარებას - დაარქმევს „უფლებებს“, ხოლო თავი ციხეს „მიწიერ სამოთხედ“ მონათლავს. რაოდენ საშიშია, როცა ბევრ ადამიანს ჯერ კიდევ არ ესმის, რომ ტოტალიტარიზმს, მის ყველა გამოვლინებაში, დედამიწაზე ეწინააღმდეგება მხოლოდ ერთი - რწმენა ღვთისა, რომელმაც მოუწოდა ადამიანს თავისუფლებისა და მარადიულობისკენ“ (პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი).* ...მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს არანაირად არ გვაძლევს საფუძველს ძალადობისთვის, არაქრისტიანულად მოაზროვნეთა ან ცოდვის მოქმედთა და თუნდაც ქრისტეს უარმყოფელთა მიმართ.

ქართული ერთობის ერთ-ერთ ფუნდამენტს საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა მართლმადიდებლობა. ქართველის იდენტობა წარმოუდგენელია ეროვნული ღირებულებებისა და ლამის ეროვნულ ღირებულებად ქცეული მართლმადიდებლობის გარეშე. ქართული სახელმწიფოებრიობის წარმომქმნელ ერს გააჩნია თავისი ღირსება და სწორედ ეს აისახა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში, რამაც თავის მხრივ განაპირობა 2002 წელს კონსტიტუციური შეთანხმების ხელმოწერა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. არაფერი განსაკუთრებული ამაში არ არის. მსგავსი მაგალითები სხვა სახელმწიფოებშიც არსებობს; ასეთი მაღალი სტატუსი, რათქმა უნდა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობისა და დიდი

გამოცდის წინაშე აყენებს საქართველოს სამოციქულო ეკლესიას და აქ შეცდომები მართლაც დაუშვებელია, მით უფრო, როცა დღეს საქართველოს ეკლესიას მოსახლეობის 90%-ზე მეტი უცხადებს ნდობას, ხოლო ამ ადამიანებს შორის არიან არა მხოლოდ ეთნიკური ქართველები და არა მხოლოდ მართლმადიდებლები. რაც შეეხება ძალადობის გამოვლინებას სხვადასხვა ნიადაგზე აღმოცენებული გაუგებრობებისას თუ დაპირისპირებებისას, მისი აღკვეთის განსაკუთრებული რეგლამენტირებული უფლებაც და ვალდებულებაც აქვს სახელმწიფოს და სწორედ მან, და მხოლოდ მან, კონსტიტუციის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოებრივი, ეროვნული და სამოქალაქო ღირებულებების დაცვა. ხოლო ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს, უფლისგან მონიჭებული გვაქვს პატივი ვიყოთ ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის წევრები და გვაკისრია პასუხისმგებლობა - დავიცვათ, ე.ი. აღვასრულოთ მაცხოვნებელი რწმენა. ამისთვის მოცემული გვაქვს უძლიერესი იარაღი - სიტყვა ცოცხალი, სულიწმიდის მადლით აღვსილი, სახარების სულითა და ქრისტესმიერი სიყვარულით გაჯერებული. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს რწმენას. ამისთვის ერთად-ერთი და ეფექტური გზა არის ქრისტესადმი მიმბაძველობა, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ ამბობ, რომ მართლმადიდებელი ხარ და ამ დროს ადამიანი გძულს, ამით კაცთმოძულეობაში სდებ ბრალს ქრისტეს, თუ ძალადობ - ამით ქრისტეს აცხადებ მოძალადედ და თუ ცილს წამებ ვინმეს - ცილისმწამებლად ქრისტეს აღიარებ ანუ ერთი სიტყვით, ყოველივე ამას სჩადიხარ ქრისტეს მიმართ და ქრისტეს სახელით, რაც ნათლად წარმოაჩენს შენს შინაგან მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში ცხადია, რომ ადამიანმა უმეტესად საკუთარი თავისგან უნდა დაიცვას სარწმუნოების სიწმიდე.

...და ბოლოს, მინდა შევეხო ისეთ ცნებას, როგორიც არის ღირსება; წმიდა წერილში ვკითხულობთ: „ეკრძალე თავსა შენსა“ (გალ.6,1). ეს ნიშნავს - უპირველესად მოერიდოს ადამიანი საკუთარ თავს და არ აკადროს უკადრებელი, არ მიაყენოს შეურაცხყოფა თუგინდ სიტყვით, თუგინდ უკეთური საქმით; არადა ცოდვის ჩადენით ხომ უპირველესად საკუთარ თავს, ჩვენს ქრისტიანულ ღირსებას შეურაცხვყოფთ. ასე, რომ ყველა ადამიანს გააჩნია ვალდებულება, დაიცვას თავისი ღირსება უღირსობისგან და პატივი სცეს სხვის ღირსებას. შესაბამისად, როცა თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, საჭიროა, რომ თავისუფლება განვიხილოთ როგორც ნებაყოფლობითი ვალდებულება საკუთარ თავზე და არა განურჩევლად ყველაფრის უფლება (რაც მოგაფიქრდება ადამიანს). წმ. პავლე მოციქული ბრძანებს: "თავისუფლებისათვის ხართ ძმანო ხმობილნი, მაგრამ ხორციელი განცხრომისთვის

ნუ მოიხმართ თავისუფლებას, არამედ სიყვარულით ჰმონებდეთ ერთმანეთს" (გალატ. 5,13).

ბატონებო, ჩვენ არანაირი საბაბით არ გვაქვს უფლება დამახინჯებულად ან ტენდენციურად განვმარტოთ ბიბლიური სწავლება თუ საეკლესიო გარდამოცემა. ეკლესიის დამოკიდებულება თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ ვერ იქნება და არც შეიძლება იყოს ემოციური ან პოლიტიკურად მიკერძოებული. ეკლესია უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ და მხოლოდ თავის სულიერ და ისტორიულ გამოცდილებას; **„გამოცდილება კი გვარწმუნებს, რომ ჭეშმარიტება სამარეშიც ცოცხლობს, ბორკილებდადებულიც თავისუფალია, ბნელშიც ანათებს და ლაფში ამოსვრილიც სიწმიდეს ინარჩუნებს. ჭეშმარიტება დროს არ ექვემდებარება, იგი არც ძველია და არც ახალი; იგი უცვლელი იყო გუშინ, უცვლელია დღეს და ხვალაც უცვლელი დარჩება“**(ვლ. ველიმიროვიჩი, სერბი).

17 სექტემბერი 2013 წელი.

დამატებითი მასალა:

საჯარო პირების რელიგიური დისკურსი საჯარო სივრცეში

1990 წელს ბელგიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც ნაწილობრივ უქმდებოდა აბორტის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. არანომინალური რწმენის მქონე კათოლიკემ - ბელგიის მეფე ბოლდუინ პირველმა კონსტიტუციით დადგენილი ნორმების წარმოუდგენელი ინტერპრეტაციების მეშვეობით (რაც პრაქტიკულად კონსტიტუციის დარღვევა და კონსტიტუციის დაცვის შესახებ სამეფო ფიცის დარღვევა იყო) თავი „მორალურად“ არაქმედუნარიანად გამოაცხადა, აირიდა კანონზე ხელმოწერის ვალდებულება და ეს ვალდებულება გადაეკისრა პრემიერ-მინისტრს.

2004 წელს კათოლიკე **როკო ბუტილიონე,** რომელიც იმ დროისათვის იყო იტალიის მთავრობის წევრი **ევროპარლამენტმა არ დაამტკიცა ევროკომისიის წევრის თანამდებობაზე** ქორწინებასა და სექსუალურ უმცირესობებზე მისი შეხედულებების გამო. ბუტილიონემ ევროპარლამენტში განაცხადა, რომ ჰომოსექსუალიზმს მიიჩნევს ცოდვად, და რომ ქორწინების დანიშნულება შვილიერება და მამაკაცის მიერ ქალის დაცვაა. ამასთანავე, განაცხადა, რომ დაიცავს ევროკავშირის კონსტიტუციის პრინციპებს, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს და კრძალავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

როკო ბუტილიონემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „კარგი ძვირი ღირს, მაგრამ ღირს. თუ თქვენ გსურთ იყოთ კათოლიკე პოლიტიკაში, ზოგჯერ საჭიროა წახვიდე მსხვერპლზე და სინდისი შენს თანამდებობაზე მაღლა დააყენო. ნუთუ თქვენ ენდობით ადამიანს, რომელმაც თავის სინდისზე მაღლა თავისი პოლიტიკური კარიერა დააყენა? მე ვფიქრობ, ჩვენ ხშირად ვივიწყებთ იმას, რომ დემოკრატია მეტად და მეტად დელიკატური საქმეა. რა არის ძველი საბერძნეთის დემოკრატიის სიკვდილის მიზეზი? მორალური რელატივიზმი და კორუფცია... დასავლური დემოკრატია იმყოფება სასიკვდილო საფრთხეში, რადგან პოლიტიკური საქმიანობა არ ეფუძნება პრინციპებს. ჩვენ ხელახლა უნდა შევიტანოთ ჭეშმარიტება პოლიტიკაში. ჩვენ უნდა შევძლოთ, ხალხს ვუთხრათ სიმართლე. ძალიან ხშირად პოლიტიკოსები არ ამბობენ სიმართლეს. ძალიან ხშირად ისინი ხალხს ეუბნებიან იმას, რის მოსმენაც ხალხს სურს. **ხოლო ის, რისი მოსმენაც ხალხს სურს, ძალიან ხშირად არა არის ჭეშმარიტება.“**

2009 წელს კიდევ ერთმა ევროპელმა მონარქმა, ასევე არანომინალურმა კათოლიკემ - **ლუქსემბურგის დიდმა ჰერცოგმა ანრიმ** რელიგიური მოსაზრებების გამო განაცხადა, რომ არ მოაწერს ხელს ევთანაზიის კანონს და კონსტიტუციური კრიზისის თავიდან ასაცილებლად დათანხმდა კონსტიტუციურ ცვლილებას, რომლის ამოქმედების შედეგად მონარქი გათავისუფლდება კანონებზე ხელმოწერის ვალდებულებისაგან.

2010 წლის მაისში გერმანიის ეკლესიათა ეკუმენური კონგრესისადმი მიმართვისას კანცლერმა **ანგელა მერკელმა განაცხადა:** „...ქრისტიანობამ ჩამოაყალიბა ჩვენი ქვეყანა. მე არ ვამბობ, რომ ჩვენ არ ვიქნებოდით იქ, სადაც ახლა ვიმყოფებით, სხვა გზით რომ წავსულიყავით. მაგრამ აქ, გერმანიაში, სრულიად ცხადია, რომ ჩვენს ფასეულობებამდე მივედით ქრისტიანობის მეშვეობით. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვაცნობიერებთ: თავისუფლება არ არის თავისუფლება რაღაცისაგან, თავისუფლება მოცემულია ღმერთის მიერ მისი შესაქმით... ეს ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა საზოგადოებრივი ერთიანობისათვის.“ მანამდე კი პაპ ბენედიქტე მე-16-სთან შეხვედრისას მერკელმა განაცხადა, რომ ქრისტიანული ფასეულობები უნდა აისახოს გაერთიანებული ევროპის კონსტიტუციაში.

ეს ფრაზეოლოგია კი საფრანგეთის პრეზიდენტს **ნიკოლა სარკოზის ეკუთვნის**: „უზენაესი, რომელიც კი არ იმონებს, არამედ ათავისუფლებს ადამიანს“, „უზენაესი, რომელიც მყოფობს ყოველი ადამიანის გულში“, „უზენაესი, რომელიც ქმნის დაბრკოლებას მოუთოკავი ამპარტავნებისა და ადამიანური უგუნურებისაკენ მიმავალ გზაზე“.

დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **ტონი ბლერმა,** რომლის პრეს-მდივანი თავის დროზე ბლერის სახელით აცხადებდა, რომ „ჩვენ ღმერთით არ ვართ დაკავებულნი“, 2009 წელს განაცხადა, რომ რელიგიას უნდა დაუბრუნდეს ჩვენი სამყაროს მოძღვრის კანონიერი ადგილი, ის, რაც მიგვითითებს გზას მომავლისაკენ... ღმერთის რწმენის გარეშე 21-ე საუკუნე იქნება სულიერად ღარიბი და პრაქტიკულად უაზრო.